



თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № 28
2018 წლის 2 აპრილი
ქ. თერჯოლა



„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ი) ი¹⁾ და ი²⁾ ქვეპუნქტების, მე-19 მუხლის, 20-ე მუხლის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1. დამტკიცდეს „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართი ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცალკეული დაწესებულებ(ებ)ის (ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების განმახორციელებელი დაწესებულება) მიერ ავტორიზაციის გავლისთანავე.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
ნინო ჯანელიძე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1. კვალიფიკაცია და გამოცდილება

1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების (შემდგომში - საჯარო დაწესებულება) დირექტორი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე და ფლობდეს სახელმწიფო ენას, ასევე აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს:

2. საჯარო დაწესებულების დირექტორს:

ა) აქვს უმაღლესი განათლება ნებისმიერ დარგში ან უმაღლესი პროფესიული განათლება ადრეული და სკოლამდელი განათლების დარგში ან პროფესიული განათლება აღმზრდელ-პედაგოგის კვალიფიკაციით.

ბ) აქვს დაწესებულებაში/ორგანიზაციაში ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 1 წლის ან/და მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

მუხლი 2. სამართლებრივი აქტების ცოდნა

1. საჯარო დაწესებულების დირექტორმა უნდა იცოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია

შესყიდვების შესახებ კანონი

ა) „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;

ბ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის

საფუძველზე დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;

დ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

ე) კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ.

ვ) ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I-ლი, III-ე და VI-ე თავი.

ზ) „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბერის №437 დადგენილება.

მუხლი 3. სხვა საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები

1. საჯარო დაწესებულების დირექტორი უნდა იცნობდეს:

ა) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს;

ბ) ბავშვის ჯანმრთელობის, ჯანსაღი კვების, უსაფრთხოების დაცვის პრინციპებს;

გ) ინკლუზიური განათლების პრინციპებს;

დ) უნივერსალური დიზაინის პრინციპებს;

ე) განათლების ძირითად თეორიებს;

ვ) კვლევის მეთოდებს განათლებაში;

ზ) ადრეული განათლების თავისებურებებს და პრინციპებს;

თ) ორგანიზაციული ქცევის თეორიულ საფუძვლებს;

ი) ლიდერობის თანამედროვე თეორიებს;

კ) სტრატეგიული გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პრინციპებს.

ლ) ფინანსური მართვის საფუძვლებს;

მ) პროექტის შემუშავების და მართვის პრინციპებს;

2. საჯარო დაწესებულების დირექტორს უნდა შეეძლოს:

ა) ადამიანური რესურსების მართვა;

ბ) მოლაპარაკების წარმოება და ადვოკატირება;

- გ) სტრესულ სიტუაციებში მუშაობა;
- დ) პრაქტიკული კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, შედეგების ანალიზი;
- ე) დაწესებულების მუშაობის ეფექტურობის შეფასება;
- ვ) კომპიუტერულ პროგრამებში Word, Excel, Power Point მუშაობა;
- ზ) დოკუმენტაციის ელექტრონული ან ბეჭდური ფორმით წარმოება.

მუხლი 4. საჯარო დაწესებულების დირექტორად მიღების დაუშვებლობა

1. საჯარო დაწესებულების დირექტორად არ მიიღება პირი, თუ:

- ა) იგი ნასამართლევა.
- ბ) მან არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის მიხედვით ნარკოლოგიური შემოწმების ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ნინო ჯანელიძე